



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აქარის სანჯაყები

აქარის სანჯაყები, ადმინისტრაციული ერთეულები ოსმალეთის შემადგენლობაში.

XVI ს. 70-იანი წლების ბოლოს აქარა ოსმალებმა დაიპყრეს. ოსმალურ ადმინისტრაციულ სისტემაში აქარა ორ სანჯაყად შევიდა: ზემო აქარის (აქარა ულია) და ქვემო აქარის (აქარა სუფლა). პირველი ახლანდ. ხულოსა და შუახევის მუნიციპ-ებს მოიცავდა, მეორე – ქედისას. აქარის ორივე სანჯაყი ჩილდირის (ახალციხის) ვილაიეთს დაუქვემდებარეს.

1582 აქარა ოსმალეთის წინააღმდეგ აჯანყებულ სამცხის ათაბაგს (მანუჩარ II-ს) მიემსრო და ოსმალთა დაქვემდებარებიდან გამოვიდა. 1587 ოსმალებმა ისევ დაიპყრეს აქარა და აღადგინეს თავიანთი ადმინისტრაციაც, ოღონდ უკვე გაერთიანებული სახით და ბეგლარ-ბეგის მეთაურობით. 1595 ერთ ოსმალურ დავთარში, რ-იც საქართველოს მიტაცებული რეგიონების აღწერილობას შეიცავს, აქარის მირ-მირანი (ბეგლარ-ბეგი) იხსენიება. მირ-მირანის გამგებლობა აქარაში ამჟერად 1609-მდე გაგრძელდა, ამ წელს კი ეს მხარე კვლავ მისმა ძველმა მფლობელმა – გურიის მთავრამა მამია II გურიელმა დაიბრუნა, თუმცა მცირე ხნით და 1614 წელს ისევ დაკარგა.

აქარაში ოსმალები უფრო მტკიცედ იკიდებენ ფეხს XVII ს. II ნახევრიდან, როდესაც ამ მხარის ფეოდალები იძულებული გახდნენ ისლამი მიეღოთ და ოსმალთა სამსახურში ჩამდგარიყვნენ. მამაპაბურ სარწმუნოებას და ტრადიციებს ამიერიდან ძირითადად გლეხობა იცავდა. ეს დიდი ბრძოლა XVIII ს. მიწურულამდე გაგრძელდა, ვიდრე აქარის გლეხობის ერთი ნაწილი არ ამოწყდა ან საქართველოს შიგა რეგიონებში გაიხიზნა. ვინც დარჩა, ბრძოლის განვრძობის ძალა აღარ შესწევდა და იძულებული იყო დამპყრობელს დამორჩილებოდა. ბრძოლა XIX ს-შიც განუწყვეტლივ მიმდინარეობდა აქარაში, მაგრამ ეს

უკვე სხვა ხასიათის იყო და ქართველობის (ქართული სოც.-ეკონ. და პოლიტ. სისტემა) აღდგენას კი არ ისახავდა მიზნად, მხოლოდ ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული და „ოსმალობის“ (ოსმალური სოც.-ეკონ. და პოლიტ. სისტემა) ფარგლებში რჩებოდა.

XIX ს. დასაწყისიდანვე დიდი იმედები გაჩნდა ოსმალთა მიერ მიტაცებული საქართველოს ისტ. მიწა-წყლის დასაბრუნებლად, რამაც მალე გამოიღო პირველი ნაყოფი – 1829 წელს საქართველომ რუს.-ოსმ. 1828-29 ომის შედეგად სამცხე და ჭავახეთი დაიბრუნა. ამ დროს მოიშალა ახალციხის საფაშო და მასში შემავალი აჯარა ყარსის საფაშოს შეუერთეს. მაგრამ ეს მთლად მარჯვე ღონისძიება ვერ აღმოჩნდა და 1844 აჯარა ტრაპიზონის საფაშოს დაუქვემდებარეს. 1851 შეიქმნა სრულიად ახალი ადმინისტრაციული ერთეული (ლაზისტანის სანჯაყი), რ-შიც აჯარა და მისი მომიჯნავე რეგიონები – ჭანეთი და ქვემო გურია (ჭოროხსა და ჩოლოქს შუა მდებარე ტერიტორია) გაერთინდნენ. 1877-78 რუს.-ოსმ. ომის შედეგად აჯარა კვლავ საქართველოს შემოუერთდა.

წყარო: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ს. ჭიქიას გამოც., წგ. 2, თბ., 1941.

ლიტ.: ა ვ ა ლ ი ა ნ ი ა., მიწათმფლობელობის ფორმები აჯარაში თურქეთის ბატონობისაგან განთავისუფლების წინ (XIX საუკუნის 40 -70-იან წლებში), ბათ., 1960; ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონომიკა, წგ. 1-2, ბათ., 1958 – 59.